I

# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №ი- 411

ქ. თბილისი "16" 08 2010 წ.

სს „ქუთაისის ლითოფონის ქარხანა"-ზე – ქ. ქუთაისში არსებული ლითოფონის ქარხნის მიმდინარე საქმიანობაზე (ზეთოვანი და წყალდისპერსიული საღებავების წარმოება) გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტისა და 22-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს სს „ქუთაისის ლითოფონის ქარხანა"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა – ზეთოვანი და წყალდისპერსიული საღებავების წარმოება
2. ნებართვის მოქმედების ვადა – უვადო
3. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ქსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№ 7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

*საფუძველი:* ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა *№50, 11.08.10.* *ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.*

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი